საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2014 წლის 27 იანვრის

დადგენილება № 1063

სენატის შემადგენლობის გაზრდის მიზნით

არჩევნების დანიშვნის თაობაზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სენატის შემადგენლობის გაზრდის მიზნით დაინიშნოს სენატის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით ასარჩევ წევრთა არჩევნები.
2. განისაზღვროს დამატებითი ვაკანტური ადგილები ფაკულტეტების მიხედვით:

   –**ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი** – 1 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისათვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისათვის;

   – **სამშენებლო ფაკულტეტი** – 1 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისათვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისათვის;

   – **ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი** – 1 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისათვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისათვის ;

   –**სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი** –1 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისათვის და 1 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისათვის;

   –**ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი** –3 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისათვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისათვის;

– **ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი** – 4 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისათვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისათვის;

სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტი -1 ადგილი სტუდენტებისათვის;

3. ეთხოვოს რექტორს სენატის დამატებულ ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების გამოცხადების თაობაზე.
4. მოწონებულ იქნეს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ საუნივერსიტეტო დებულება და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დასამტკიცებლად წარედგინოს სენატს.
5. დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე